საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2520/01
16/03/2022

2520-01-2-202203161756

ი/მ პოღოს გრიგორიანს
მის: ახალქალაქის მინიციპალიტეტი, სოფ.ტურცხი
ელ.ფოსტა: pogos-pogos00@mail.ru

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2022 წლის 25 თებერვლის №3943 განცხადება, რომელიც ეხება ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. კოთელიაში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

- წარმოდგენილ დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს მანძილი საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 100 მეტრით, თუმცა, მითითებული არ არის მისი სახელწოდება. ამასთანავე, დოკუმენტში განხილული და შეფასებული არ არის დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში აღნიშნულ ზედაპირული წყლის ობიექტზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების შემდგომი მართვის საკითხი;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, „საპროექტო ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები შეიკრიბება საპროექტო ტერიტორიასთან არსებულ არხში“. განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია აღნიშნული არხის მესაკუთრის და მასთან შეთანხმების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების გასაცემი სვეტების განთავსების ადგილის გადახურვის საკითხი;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს როგორც ბენზინის, ასევე დიზელის საწვავის წლიური რეალიზაციის შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე